ჰელსინკში “ნოკიამ” ძალზე საინტერესო პრეზენტაცია მოაწყო. კომპანიამ გაყიდვაში გამოიტანა სრულიად ახალი პროდუქტების ჯგუფი, რომელსაც “ნოკიას იმიჯი” ჰქვია. სერიის პირველი სამი ნივთია “ნოკიას” მედალიონები და კალენდოსკოპი. ისინი ერთი შეხედვით თავიანთი წინაპრებისგან არაფრით განსხვავდებიან – ღამაზებიც არიან და მაჯაზე ან გულზე მაგრდებიან. თუმცა, მთავარი განსხვავება დამატებით ფუნქციებშია. ესთეტური სიაზონების მინიჭების გარდა, “ნოკიას” მედალიონებს ფოტოს შენახვა და გამოსახვაც შეუძლიათ. ამ პატარა ბროშებში ფოტოს გადატანა ინფრანითელი შუქით სათანადო მობილური ტელეფონიდან ანდა კომპიუტერიდან ხდება. “ნოკიას” მედალიონი-1 რვა ფოტოს ინახავს და თან დროსაც უჩვენებს. “ნოკიას” სერიის გაგრძელებას კიდევ უფრო უცნაური ნივთებით გვემავს. ცხადია, მათაც პომპეზური პრეზენტაციას მოუწყობენ.

კვიდივის მსოფლიო აკაპიონატი

ჰარი ჰოტერის ფანებისთვის ქვიდივი უკვე ისეთი ნაცნობი და საყვარელი თემაა, როგორც ბევრისთვის ფეხბურთი. ვიდეოთამაშების კომპანია Electronic Arts-ი სწორედ მათთვის ქვიდივის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას გეგმავს. ცხადია, კონკურსის მონაწილეებს ცოცხებზე უფროსა და ფრენის სწავლა არ მოუხდებათ. ისინი ამ ყველაფერს ვირტუალურ რეჟიმში, სპეციალურ ვიდეოთამაშში გააკეთებენ.

Electronic Arts-ი გამარჯვებულებს ნოემბრის შუა რიცხვებისთვის შეკრებს და ფინალური მატჩისთვის კანდიდატებს შეარჩევს. ფინალი ევროპელ, აზიელ და ავსტრალიელ გამარჯვებულებს შორის 21 დეკემბერს დიდ ბრიტანეთში გაიმართება.

Electronic Arts-ი თამაშის გამოშვებას 31 ოქტომბერს გეგმავს.

იურიისტი პროდიუმზა

“მოდელიობაზე არასდროს მიფიქრია”, - “მის-საქართველო 2003“-ის ოცნება და რეალობა

ვირა ნუზარიძე

უყვარს ქარვა, ქსოვა, სიმღერა; არ იზიდავს ღამის კლუბებში დროსტარება; სიაზონებით გადაიღებდა კლიპს რომელიმე ღამაზე სიმღერაზე საკუთარი შესრულებით; ვიტნი ჰიუსტონის ხმა რომ ჰქონდეს, როგორც თავად ამბობს, მასზე ბედნიერი ქალი არ იქნებოდა; თუმცა, იგი არსებული ვოკალური შესაძლებლობებითაც ფიქრობს ადგილობრივ მუსიკალურ სცენაზე ადგილის მოსინჯვას. მანამდე კი ირინა ონაშვილი საკუთარ, ამჯერად სამოდელიო შესაძლებლობებს “მის-მსოფლიოს” შესარჩევ კონკურსზე წარმოაჩენს. სწორედ მას, პირველად საქართველოს ისტორიაში, დაეკისრა არც თუ ითლი მისია, აჩვენოს მსოფლიოს ქართველი ქალის სახე.

ფავორიტი

ვინც ოპერის თეატრში გამართულ სანახაობას, “მის-საქართველოს” ფინალურ კონკურსს დაესწრო, ყველა აღიარებს, რომ 18 წლის ირინა ონაშვილი ყოველგვარი კამათის გარეშე დედოფლის გვირგვინის ღირსი იყო; არა იმიტომ, რომ კონკურსიცა არ არსებობდა. უბრალოდ, გამარჯვებული, რომელიც უნდა ყოფილიყო ერთი, მაყურებელმა თავიდანვე ამოირჩია. შოუს დაწყებისთანავე ირინას გამოჩენას აუდიტორია განსაკუთრებული აპლოდისმენტებით ხვდებოდა. თუმცა, ფავორიტისადმი ასეთ დამოკიდებულებას ხელი არ შეუშლია, იგივე მაყურებლისთვის სიმპათიები სხვადასხვა მონაწილის მიმართ გამოეხატა. ვფიქრობ, ყველა მათგანმა ყოირისგან შესაბამისი ტიტულებიც დაიმსახურა. ძვირადღირებულ პრისებთან ერთად კი ირინა ონაშვილს სალონ “დიადემაში” დამზადებული საკმაოდ მძიმე (როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით) გვირგვინიც ერგო.

რა შეიცვალა...

არ ვიცი, დათანხმდებოდა თუ არა ირინა კონკურსში მონაწილეობას, თავიდანვე რომ სცოდნოდა, რა ელოდა ფინალის შემდეგ. “გამარჯვებისთანავე ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ირგვლივ. განსაკუთრებით მეორედ დღეს მივხვდი, როდესაც ძალადონაში შესულს მომსახურე პერსონალი გარს შემომერტყა, - ამბობს “მის-საქართველოს” გვირგვინის მფლობელი, რომელმაც გამარჯვებისთანავე პოპულარობის მომამზერებელი გემოც იქვე გასინჯა - “დედაჩემმა ტელეფონზეც კი გამოერთო სახლში, აღარაფერს ვამბობ მობილურზე. ერთხელ ნანახი ადამიანიც კი მირეკავდა; მილოცავდა ყველა, ვისაც ჩემი წარმატება გაუხარდა”. ნლევანდელ “მის-საქართველოს” გვირგვინთან ერთად წილად ხვდა “მის-მსოფლიოს” კონკურსისთვის ორთვიანი სამზადისი. ირინა ჩინეთის ქალაქ სანიაში ექვს ნოემბერს გაფრინდება. მანამდე იგი “იმიჯ-ცენტრის” ტრენაჟორებზე ვარჯიშობს და ყოველდღიურ საგანგებო სამუშაო რეჟიმს მკაცრად იცავს. ეს ყველაფერი კი ცოტა უცხოა 18 წლის გოგონასათვის, რომელიც აქამდე შედარებით მშვიდ ცხოვრებას იყო მიჩვეული, იმის მიუხედავად, რომ სამოდელიო ცხოვრებაში ის საკმაოდ ადრე ჩაება...

13 წლიდან პოდიუმზე

ირინა ონაშვილს სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიუღია სილამაზის კონკურსებში, მაგრამ “მის-მსოფლიოსთვის” გამართულ ქართულ კონკურსზე მაინც შემთხვევით აღმოჩნდა. “კონკურსში მონაწილეობა არ მინდოდა. საერთოდ, გული მაქვს აცრუებული კონკურსებზე, რადგანაც არაერთხელ დაგირჩენილ ვარ გამარჯვების გარეშე უსამართლოდ. სადაც მიმიღია მონაწილეობა, ყველგან საშინელებები ხდებოდა; ჯერ ერთი, ძალიან დაბალ დონეზე იყო ორგანიზებული; იყო ჩანცოვები. ამიტომაც, არც ახლა მიეფიქრა მონაწილეობა მიმელო, თუმცა რეკლამებს რომ ვუყურებდი, ისეთი იყო, ნერწყვებს რომ გადაყლაპავ ადამიანი. დედამ მიჩრია, დამერეკა. ჯერ თავს ვიკავებდი. “იმიჯ-ცენტრთან” არასდროს მქონია შეხება, არც ვიცოდი როგორი ხალხი იყო. ბოლოს მაინც დავრეკე და რომ მივედი, პირველივე შთაბეჭდილებით აღვთოვანებული დავრჩი; ისე თბილად მიმიღეს, კარგად დამელაპარაკნენ. ბოლომდე არ მქონდა გადაწყვეტილი, ისე დავინწყე ვარ-

ჯიში. ჩემი აზრით, მთელ საქართველოს უნდა უხაროდეს, რომ ეს კონკურსი გაიმართა. რაც საქართველოში შოუ-ბიზნესი არსებობს, მსგავსი დონის კონკურსი არ გამართულა. რაც კი გვჭირდებოდა, აბსოლუტურად ყველაფერზე “იმიჯ-ცენტრმა” იზრუნა”, - კმაყოფილება არ მალავს გამარჯვებული.

ისევე როგორც ამ კონკურსზე, მოდელიობაც თითქმის შემთხვევით დაიწყო ირინამ. პოდიუმზე იგი მას შემდეგ ავიდა, რაც 13 წლის გოგონა სკოლიდან საკუთარ სააგენტოში თვა მატყვარაიმ მიიწვია. ამის შემდეგ ირინა ონაშვილი გავიდა კონკურსზე “მის-თბილისი”, სადაც მესამე ადგილი ხვდა წილად. მოგვიანებით გახდა “მის-აბრეშუმი”; სააგენტო “ამსაში” ყოფნისას გაიმარჯვა “შეტროპოლიტენის” შესარჩევ კონკურსზე, რის შედეგადაც ვიკა პლეშკოვასთან ერთად პარიზში უნდა წასულიყო. თუმცა, აღარ წავიდა... ჰქონდა შეთავაზებები საფრანგეთიდან, იტალიიდან, ამერიკიდან, - ერთი სიტყვით მოდელის კარიერაზეც სერიოზულად ფიქრობდა, თუმცა უსიამოვნო მიზეზების გამო (ახლა, ალბათ, არც ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება) ასე არ გამოვიდა.

საქმიანი ქალი თუ მეოჯახე?

“იურიტიობა გულით მინდა, - ირინა ონაშვილი სპორტის აკადემიაში, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს, - ისეთი ხასიათი მაქვს, მგონია, რომ გამომივა. აი, მაგალითად, ნამდვილად ვიცი, რომ მსახიობობა გამიჭირდება. ისე, მოდელიოცოტა არტისტულიც უნდა იყოს”, - თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ძალიან მოსწონს საქმიანი ქალის იმიჯი, თავად არ არის დარწმუნებული, რამდენად შეძლებს აქტიურ ცხოვრებას, რადგანაც ბუნებით უფრო მშვიდი ცხოვრების მოყვარულია. ხასიათის ეს თავისებურება ირინამ ჯერ კიდევ ფინალურ კონკურსამდე გამოამჟღავნა, როდესაც უარს ამბობდა სხვა მონაწილე გოგონებთან ერთად საღამოობით წასულიყო ღამის კლუბში. “ხანდახან კი, ალბათ, ყველაფერი საქმროა, მაგრამ ჩემთვის რალადინად შემანახებელია ღამის კლუბებში სიარული; ხმაშალალი მუსიკა, სიგარეტის კვამლი, რომ გამოდიხარ ყურები დაგუბებული გაქვს, სუნი ადღის, - ცუდია, რა”. სამაგიეროდ, “მის-საქართველო” კარგად გრძნობს თავს სახლში, სადაც დრო ქარგვაში, ქსოვაში გაჰყავს. ამჟამად მასშტაბურ ნაქარგზე მუშაობს. უყვარს სიმღერა. ბავშვობიდან დადიოდა მუსიკალურ ნრეებზე. “ძალიან მინდა კლიპის გადაღება, თუ საშუალება მექნება. რაიმე ღამაში სიმღერა მინდა ვიმღერო. პიუსტონი მიყვარს ძალიან. მასი ხმა რომ მქონდეს, ბედნიერი ქალი ვიქნებოდი”. ასე რომ, არაა გამოირცხული, წლევანდელი “მის-საქართველო” მუსიკალურ სცენაზეც ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთია თავად ირინა ონაშვილის სურვილი. ვიდრე მის-საქართველო ამ წარმატებასაც მიაღწევდეს, ირინას კიდევ ერთი გამოცდა ელის წინ, საამისოდ კი საშადადისი დაწყებულია...

“უნდა მოვემზადო როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. მონდომებული ვარ. ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ვიგრძენი, მაგრამ, ეს გრძნობა ჩინეთში უფრო გამომძაფრდება, როდესაც საქართველოს სახელით გამოვალ”. ამჯერად “მის-საქართველოს” და მის საქმროს ერთადერთი პრობლემა აქვს გადასალახი: “ჩემი მართლ გამოვება არ უნდა. თუ მოახერხებს წამომყვება”. ალბათ, ამ ადამიანის გულშემატკივრობა ირინასთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება იქ, სადაც ქართველი ღამაზმანი მსოფლიოს 120 რჩეულ ღამაზმანს შორის აღმოჩნდება.

“მის-საქართველო” 2003-ის დოსია:

ირინა ონაშვილი დაიბადა თბილისში, 1985 წლის 6 სექტემბერს, ცნობილი მოჭიდავის, ძიულში ევროპის ჩემპიონის გივი ონაშვილის ოჯახში

სწავლობს სპორტის აკადემიაში, იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსზე

სიმაღლე – 186 სანტიმეტრი

ზომები:

მკერდის გარშემოწერილობა – 92 სანტიმეტრი

წელი – 65 სანტიმეტრი

თქვიების გარშემოწერილობა - 95 სანტიმეტრი



სიმაკი ჰაიდან შიხალა “პანოვერის” 24 წლის ჩეხი ნახევარმცველი ფსიქიკურად დაავადდა და ფეხბურთიდან მიდის



იან სიმაკი გაგიფაძე

აკაკი ტონია

23 სექტემბრის შემდეგ გერმანული “პანოვერის” ნახევარმცველი იან სიმაკი დაკარგული იყო. მისი ადვლსამოლეული არავინ იცოდა. ორშაბათის სიმაკი კვლავ გამოჩნდა. თუმცა, ეს არ აღმოჩნდა “შევიცნე”. სიმაკის აბჯარი ტრაგიკულად დასრულდა. საფეხბურთო კარიერა, მძიმე ფსიქიკური პრობლემების გამო, ჩეხმა ნახევარმცველმა 24 წლის ასაკში უნდა დაასრულოს.

“საზოგადოების ზენოლას ველარ ვუძღვებ”, - ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ განაცხადა პრესაში სიმაკმა. ამის შემდეგ ფეხბურთელი გაუჩინარდა. მასთან შეხვედრის შემდეგ, ლევერკუზენის “ბაიერსი” მენეჯერმა კალმუნდმა, სიმაკის ავენტებმა ვიტამინა და ლოტიტ-რუმმა, თავად ფეხბურთელთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სიმაკის საფეხბურთო კარიერა უნდა დასრულდეს.

განიხილეს ფეხბურთელის კონტრაქტის საკითხიც, რომლის მიხედვითაც სიმაკი 2007 წლამდე ლევერკუზენის “ბაიერის” კუთვნილება იყო. ხელშეკრულება განკუთვნილია ამით დასრულდა ბუნდესლიგის ჩიტიერი ნახევარმცველის კარიერა.

2000 წლიდან მოყოლებული, იან სიმაკი ბუნდესლიგის ერთ-ერთი ნამყვანი ფეხბურთელი გახლდა. მის მიერ გატანილი 18-მა გოლმა უდღესი სიმაკი უპასურებელი 2001 წელს “პანოვერის” მეორე ლიგიდან ბუნდესლიგაში აღზევების საცემში. ამის შემდეგ სიმაკი ლევერკუზენის “ბაიერში” გადავიდა, 6,2 მილიონ ევროდ. თუმცა, გულმტკიცეკითხვითა და ახალი კლუბის ხელმძღვანელთა მოლოდინი “ლევერკუზენში” ვეღარ გააძლიერა. 22 მატჩში მან მხოლოდ სამი გოლი გაიტანა და მიმდინარე სეზონის

დედ ბოსკანს, საკის და ტროსიან ჩვენთან ვერ ვიხილავთ

მიხილი აბიოვილი

11 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ვეროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბოლო მატჩს გამართავს. მართალია, ჩვენს გუნდს ფინალურ ეტაპზე გადგინის თეორიული შანსიც კი არ დარჩა, მაგრამ ამ ეტაპზე ისეთი მეტოქე გვყავს (რუსეთის ნაკრები), რომ სატურნირო მდგომარეობა უკანა პლანზე იწევს. ამ მატჩსა და ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე “24 საათი” გთავაზობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და ეროვნული გუნდის დროებითი მთავარი მწვრთნელის მერაბ ჟორდანიას კომენტარს.

- სატურნირო თვალსაზრისით, რუსეთში გამარჯვება ჩვენს ნაკრებს ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანს. თუ რუსეთის ნაკრები გამარჯვებს, ქვეჯგუფში პირველ ადგილს თუ არა, პლეიოფის საჯგუფო მაინც მიიღებს. ასეთი სიტუაციის გამო ხმა დაირჩა, რომ ჩვენი გუნდი მოსკოვში 3-ქულიანი ხონინი მიემგზავრება...

- ასეთი დონის ნებისმიერ მატჩს, როდესაც მსგავსი სატურნირო სიტუაციაა შექმნილი, ყოველთვის თან ახლავს ეჭვები. თუმცა, მინდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ საქართველოს ნაკრები მთელი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით მოემზადება ამ თამაშისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ძალიან პრესტიჟულია და, გარანტუდებით, ყველა ფეხბურთელი ამ მატჩს ისე მოუდგება, როგორც ქართული ფეხბურთის ყველა ვაჟსემატკივარი მოელოს.



ჟორდანიას ახალი მწვრთნელის ვინაობას კერ არ ახებდას

- საქართველოს ნაკრები ვინდების საბაზო კლუბში, თბილისის “დინამოში”, რთული ვითარებაა. ეს უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს ნაკრები გუნდის ფსიქოლოგიურ კომპაქტზე?

- თბილისის “დინამოში” არსებული ვითარება ყოველთვის ახდენდა და მოახდენს ზეგავლენას მთელ ქართულ ფეხბურთზე და არც ნაკრები გუნდია გამონაკლისი. გეთანხმებით, ბოლო დროს “დინამოში” არ იყო ისეთი ვითარება, როგორსაც ამ კლუბის სახელი, ავტორიტეტი, ისტორია და ტრადიცია იმსახურებს. საბედნიეროდ, ვითარება, რომელსაც პირდაპირ გვაუგებრობას დაფარქმევდი, გამოსწორდა და გუნდში ნორმალური სამუშაო ატმოსფერო შეიქმნა. რუსეთის ნაკრებთან მატჩამდე ჯერ კიდევ არის დრო. მშაშ, რომ ნაკრების ყველა დინამოელი კანდიდატი ამ დროს ისე გამოიყენებს, როგორც პროფესიონალს შეეფერება.

- თქვენ უკვე დაასახელებდით უცხოეთში მოთამაშე ის ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც რუსეთთან მატჩისთვის არიან გამოძახებულინი. როდის დაასახელებთ ნაკრების სრულ შემადგენლობას?

- სრული შემადგენლობის დანახვებებს არ ვეპარობთ, რადგან 11 ოქტომბრამდე საქართველოს ჩემპიონატის რაუნდში ტურნირი დაიწყო. კიდევ დაეკვირვებით ნაკრების კანდიდატებს და შემდეგ დავასახელებთ სრულ შემადგენლობას. თუმცა, არა მგონია, კარდინალური ცვლილებები მოხდეს.

- რუსეთთან მატჩს ყველა დიდი ინტერესით ელის, თუმცა, ქართულ საფეხბურთო საყაროს გაცილებით უფრო ინტერესებს, თუ ვინ დააკავებს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს. პრესაში უკვე დასახელება ისეთი ავტორიტეტული კანდიდატები, რომლებიც არიან ესპანელი დელ ბოსკი, იტალიელი საკი, ფრანგი ტროსიან, ეზრალი შარფ... ითქვამს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ კანდიდატურებს განიხილავს...

- ამ მწვრთნელებთან და კიდევ სხვა კანდიდატურებთან დაკავშირებით, რომლებიც პრესაში სახელდება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ინფორმაცია არავისთვის მიუზღდება. მეტიც: ეს

“არსნალს” კვლავ სძინავს

აკაკი ტონია

წინა ტურის პირველი დღის მსგავსად, ჩემპიონთა ლიგაში დიდი სენსაციები არც გავმძივდივს საღამოს შემოიხილავდა. გამონაკლისი, ალბათ, მხოლოდ ლონდონის “არსნალსია”, თუმცა მინ “ინტერნაციონალი” 0:3 განცდილი მარცხის შემდეგ, გასულიყო მოპოვებული ფრე, ალბათ, არც თუ ისე დიდი სიურპრიზი უნდა იყოს. “არსნალსზე” მოვანებებით ვისაუბროთ, სჯობს მატჩები ქვეჯგუფების მიხედვით, თანმიმდევრებით მიმოვიხილოთ.

A ჯგუფში გოლზღვოს “სელტიკი” და ლონდონის “ლიონიკი” დაუპირისპირდნენ ერთმანეთს – შუდარებით თანაბარი სიძლიერის გუნდები. ამიტომაც, ამ მატჩში დაფიქსირებული არც ერთი შესაძლო შედეგი არ უნდა გავგვირგვინებოდა “სელტიკმა” 2:0 გაიმარჯვა. ორივე გუნდმა შეხვედრა სწრაფ ტემპში დაიწყო, თუმცა მასპინძლები იფრანკო უფრო სწრაფად იყვნენ, ვიდრე მათი მეტოქე. მიუხედავად უპირატესობისა, “სელტიკმა” მხოლოდ 70-ე წუთზე შეძლო ანგარიშის გახსნა, რასაც 78-ე წუთზე “ლიონის” კარში გატანილი მეორე გოლიც მოჰყვა. მიღწერის დასაბრუნებლად გატანილი გოლებში ლონდონის დიდი კერძო ლარსონმა, ორივე საგოლე გადაცემა მის ანგარიშზეა. “ანდერლეხტს” “ბაიერისს” საკმაოდ უფერული მატჩში ანგარიშები დასინძიდებმა გახსნეს. 53-ე წუთზე გოლი ხორვაგამა იტაცა მორანმა გაიტანა. “ანდერლეხტი” საკმაოდ დამსახურებულად იმარჯვებულა დასაბრუნებლად იმარჯვებულა. მიუნხენში მატჩისმეტად უფერულად იმარტულ ფეხბურთის გეთავაზობდნენ. მატჩის 35-ე წუთზე “ბაიერისს” პერუელი თავდასმხელი კლაუდიო პიზარო მოედინა

1-ლი ჯგუფი		2-ლი ჯგუფი	
ბარსელონი 1-1 ბარსელონი	არსნალი 0-0 არსნალი	არსნალი 2-0 არსნალი	არსნალი 2-1 არსნალი
ლორნალი 2-0 ბარსელონი	ბარსელონი 2-0 არსნალი	ბარსელონი 2-0 არსნალი	ბარსელონი 2-0 არსნალი
1 ბარსელონი 2 1 1 0 32 4	1 ბარსელონი 2 2 0 0 31 8	2 ბარსელონი 2 1 0 1 32 3	2 ბარსელონი 2 1 0 1 32 3
2 ბარსელონი 2 1 0 1 32 3	3 ბარსელონი 2 0 1 1 32 3	3 ბარსელონი 2 0 1 1 32 3	3 ბარსელონი 2 0 1 1 32 3
3 ბარსელონი 2 1 0 1 32 3	4 ბარსელონი 2 0 1 1 32 3	4 ბარსელონი 2 0 1 1 32 3	4 ბარსელონი 2 0 1 1 32 3

დან გააძვეს. უკანასკნელ წუთებზე “ბაიერნმა” მაინც შეძლო საკუთარი ბრძოლისუნარიანობის დამტკიცება. მეტელაზე შემოსულმა როკი სანტამ პრეზმა ანგარიში გაათანაბრა – 1:1. თუ მატჩის მსვლელობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ერთი ქულა მაქსიმუმი იყო, რასაც მიუხეხნელები გუმინდელ მატჩში იმსახურებდნენ.

გადგვივადლოთ B ჯგუფში. კიევის “დინამოს” წინააღმდეგ მატჩში მიღწერის “ინტერი” სულაც არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელსაც ორი კვირის წინათ ლონდონში “არსნალსი” გაანადგურა. მატჩის დებოტში მასპინძლები ფლობდნენ უპირატესობას, თუმცა კიეველებს საკმაოდ თამამად უტყდებნენ ტოლფას კარს და პირველი საბოლოო მომენტებზე სწორედ მათ შექმნეს. მიუხედავად ამისა, ანგარიში მაინც “ინტერმა” გახსნა. 23-ე წუთზე ადამინი გაუტანა მოკვანისა. ათ წუთში “დინამოსმა” ფილორანდო ანგარიში გაათანაბრება შეძლო. ისეთი პირი უნადა, რომ ეს მატჩი ფრედ დამთავრდებოდა, თუმცა 59-ე წუთზე “ბაიერნმა” მაინც შეძლო საკუთარი ბრძოლისუნარიანობის დამტკიცება. მეტელაზე შემოსულმა როკი სანტამ პრეზმა ანგარიში გაათანაბრა – 1:1. თუ მატჩის მსვლელობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ერთი ქულა მაქსიმუმი იყო, რასაც მიუხეხნელები გუმინდელ მატჩში იმსახურებდნენ.

ინფორმაციები სინამდვილეს არ შეესაბამება. იმის თაობაზე, თუ ვის კანდიდატურებს განვიხილავთ, ვისთან ვანარმოებთ მოლაპარაკებებს და რა ეტაპზეა მოლაპარაკებების პროცესი, ჯერ ვერაფერს გეტყვით. არ დაგიმალავთ: ფედერაციას აქვს საიმისო სახსრები, რომ უმაღლესი კვალიფიკაციისა და საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში ხმაურიანი სახელის მქონე მწვრთნელის მატერიალური ამბიციები დააკმაყოფილოს. ახალ მწვრთნელს დეკემბრის ბოლოს წარუდგენთ ქართველი საზოგადოებრიობას. არის გარკვეული საფეხბურთო ნიუანსები, რომელთა გამო პროცესის დაქარება გაუმართლებელი იქნება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რომელ მეტოქეებთან გავაძინებებს კენჭისყრა. ასე რომ, დაველოდოთ დეკემბერს.

- თქვენ დებოტურების მაკორიტარი კანდიდატი ბრძანდებით მონანილოვს მიიღებთ 2 ნიუნილის საპარლამენტო არჩევნებში. არჩევნებში რომ გაიმარჯვოთ, დარჩებით თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე?

- ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა არ კრძალავს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში დებოტურის საქმიანობას. თუ არჩევნებში ვაიპიარჯვებ, ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზეც დავრჩები. მიმანია, რომ საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობით ქართველ ფეხბურთის საზოგადოებრივ მოღვაწეს. მთავარი მანია ის არის, რომ ჩემი მშობლიური კუთხის, ჯურის წინაშე გარკვეული მოვალეობა და ვალდებულებები მაქონდა. ვფიქრობ, დადავდრო, როცა ყველაფერი ის, რაც ამ კუთხეში მოცა, უკან დაღებურთონ, რაღაც გააკეთო ამ კუთხისა და იქ მცხოვრები ჩემთვის უსაყვარლესი ხალხისთვის.

- ამ მწვრთნელებთან და კიდევ სხვა კანდიდატურებთან დაკავშირებით, რომლებიც პრესაში სახელდება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ინფორმაცია არავისთვის მიუზღდება. მეტიც: ეს

“აეკი”. ესპანურმა “დებოტურებში” კი ანგარიში 2:0 დაამარცხა “ინტერკვინი”. გუმინდელი გამარჯვების შემდეგ, “მონაკი” ეროვნულ-ნულად ლიგურებს ჯგუფს და მერედენიანობა გასვლის საუკეთესო მანსებს ინარჩუნებს. ორი გოლი გაიტანა ფერნანდო მორენტიესმა, რომელიც თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში ცდილობს “რეალს” შურისთვის.

D ჯგუფის გმირად ჩეხი პავლე ნენდელი უნდა გაიაროთ. “ოუვენტუსი” ბერძნულ “ოლიმპიკოსს” სტუმრობდა და ამ მატჩში ფაფორიტეც იყო, თუმცა ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს და მთელი შეხვედრის მიმდინარე საქამოედი კარგი საგოლე მანსებზე ჰქონდათ. საბოლოოდ კი მაინც “ოუვენტი” გაიმარჯვა, უფრო სწორად - ნენდედმა. ჩეხმა ნახევარმცველმა ჯერ 21-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 79-ე წუთზე გამარჯვების გოლი შეაგდო – 1:2.

“გალთასარამი” ჩემპიონთა ლიგაში თავისი მეორე მატჩი ნაგაფრ. ფაიის ტერნოსს უნდმა ლიგის დებოტურტ “რეალ სოსიედადს” უნდა მასპინძლობდა. დარკო კოვაჩევიჩმა ანგარიში შესაძლო წუთზე გახსნა და “სოსიედადი” წინ გაიყვანა. გატანილი გოლის შემდეგ სტუმრობმა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე დაიწყეს ზრუნვა და ეს საკამოედი პირველი გასონდელიცაა. თუმცა, ჩამონდებულთა კუთხისთვის შემდეგ რაიმე შეუქრმა მაინც შეძლო ანგარიშის გაათანაბრება. “სოსიედადი” კვლავ შეტევაზე წავიდა და მეორე გოლის გატანა შეძლო. როგორც ჩანს, დებოტურტმა “სოსიედადი” ჩემპიონთა ლიგას საკამოედი კარგად აულო ალო. ექვსი ქულით “სოსიედადი” D ჯგუფში მეორე ადგილზე იმყოფება და მეტრედენიანობა გასვლის დიდი იმედიც აქვს.

ფეხბურთი. ესპანური “რეალ სოსიედადის” პრეზიდენტმა ხოსე ლუის ასტისარანმა განაცხადა, რომ არ აპირებს გუნდის თურქი შემტევი ნახევარმცველის ნიხაიის გაყიდვას. ნიხათი დაინტერესდები ვეროპული ფეხბურთის ისეთი გრანდები, როგორებიც არიან “მანჩესტერ იუნაიტედი” და მიუნხენის “ბაიერნი”, მაგრამ ასტისარანმა თქვა: “ნიხათი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და ჩვენ მას არსად გაუშვებთ”.

ფეხბურთი. ფრანგული “სტრასბურგის” მცველი ცალკედ დროებით საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დომინგის მიღებაში ამინილია. ამ საკითხს 15 ოქტომბერს განიხილავენ. “შე სამედეონი დასკვნა არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ ჩემს დომინგ-ტესტში მორფი ალმოაჩინეს, - ამბობს ფეხბურთელი, - ჩემთვის ყველაზე უფრო სარწმუნო ვერსია ის არის, რომ გამოყენებისთვის დაშვებული პრეპარატები შეიცვალს კიდევინ, რომელიც ორგანიზმის ზემოქმედების შემდეგ შეიძლება მორფად გადაიქცეს”.

ფეხბურთი. აზიის თასის ჯგუფური ტურნირის მატჩში სამხრეთ კორეის ნაკრებს ნეპალის გუნდი გაანადგურა - 16:0. ნახევარმცველმა პარკ ინ-სუნმა ნეპალის კარში 5 გოლი გაიტანა. თავდადებულებმა ვუ სუნგ-ინგმა და კიმ დონ-უმმა კი პეთ-თირკი შეასრულეს.

ფეხბურთი. “აიაქსმა” და “რომაში” კიევის ტრანსფერის შესახებ ახალ შეთანხმებას მიიღწეს. შეცხასენებთ: ადრე შეთანხმება ჩიიშალა იმის გამო, რომ “რომა” ფინანსური გარანტიები ვერ წარმოადგინა. ახლა კლუბები შეთანხმდნენ, რომ კიევი, რომელიც “რომაში” იჯარის წესით თამაშობს, 2004 წლის 1 იანვრისთვის იტალიური გუნდის სრულფასოვანი წევრი გახდება, “რომა” კი მთლიან თანხას გადაიხდის.

ფეხბურთი. “პარმას” ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ განაცხადა, რომ “მილანში” სიაშიშინებით ითამაშებდა. “შე ვიცი, რომ “პარმას” და “ინტერი” ჩემზე უფლებად აქვთ. თუმცა, არავინ იცის, რას გვიპირდებიან მომავლად. მე მეცხვებთან, “როსონორის” შემადგენლობაში თამაშის მანის გამოიყენებ”.

TV-საორები

ოთხშაბათი. 1 ოქტომბერი

- HTB + ფიხელი**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:20 ჩემპიონთა ლიგა. “ლოკომოტივი” (რუსეთი) – “არსნალი” (ინგლისი)
15:00 ჩემპიონთა ლიგა. “ინტერი” (იტალია) – “დინამი” (უკრაინა)
16:45 “ცხრაინი”
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 ჩემპიონთა ლიგა. “ოლიმპიკოსი” (საბერძნეთი) – “ოუვენტუსი” (იტალია)
19:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. “გალთასარამი” – “რეალ სოსიედადი”
20:40 სახვალთი ტელეპროგრამა
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 “დარტყმა გოლისთვის”
21:15 “პოსტსკრიპტები”
21:50 “FUTBOL MUNDIAL”
22:20 გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:20 ჩემპიონთა ლიგა ON-LINE. პირდაპირ ეთერში ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები
01:35 ჩემპიონთა ლიგა. “ჩელსი” – “ბემქიქიამი”
03:20 ჩემპიონთა ლიგა. “ჩელსი” – “ბემქიქიამი”
- HTB + ციფრი**
11:00, 14:00, 17:00, 20:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 “ოლიმპის შვილები”
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 როდუი. “Bull Riders”
12:30 ჭადრაკი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი
13:00 “ვარსკვლავური სამშაბათი”
14:40 “ბილიარდის მუშუფენი”
15:10 სქადაიფინგი. მსოფლიო თასი
17:15 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში
- 19:15 ცხენოსნობა. “ბროლის უნაგირი”. პირველი ნაწილი
19:45 ჭადრაკი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი
20:30 “Power week – NHL-ის კვირა”
21:00 “ათვის გახზე”
22:05 სახვალთი ტელეპროგრამა
22:30 ტრიატლონი. მსოფლიო თასი ნიუ-ფაუნდლენდთან
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. “პორტუ” – “რეალი”. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. “მეტუტგარტი” – “მანჩესტერ იუნაიტედი”
- EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი
12:00 მხატვრული ტანვარჯიში. უნგრეთში
13:30 ფეხბურთი. ევროგოლები
15:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
16:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი. “კრემლის თასი”
19:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
20:45 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი ტრიკოპოში
22:45 მულტისპორტი ოთხშაბათობი
23:00 ცხენოსნობა. სამჭიდო
00:30 ცხენოსნობა. ვილამერის კონკური
01:30 აფროსნობა
02:00 ახალი ამბები
02:15 როდუი. PGA ტურნირი აშშ
03:15 გოლიფი. ჩელენჯ ტური
03:45 გოლიფი. ევროტური ქალებში
04:15 ახალი ამბები

შოტას გოლეზის იხედად

ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი მატჩების მიმოხილვა

E ჯგუფი
პანათინაიკოსი – რეინჯერსი
შტუტგარტი – მანჩესტერი
საბერძნეთის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში “ონიქოსის” წინააღმდეგ “პანათინაიკოსმა” 2:0 გაიმარჯვა და ლიდერება შეინარჩუნა. ჩემპიონთა ლიგაში კი საქმესულ სხვაგვარადაა. “მანჩესტერთან” 0:5 ნაკლებ შემდეგ ბერძენი E ჯგუფის ბოლო საფეხურზე იმყოფებიან. დღეს საღამოს “პანათინაიკოსი” “რეინჯერსს” მასპინძლობს – კიდევ ერთი უმძიმესი მატჩი. გლახგოლებში შოტლანდიის ჩემპიონატის ცხროლის სათავეში არიან. სეზონის დაწყებიდან ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგეს, ბურთების შეფარდება 26:6: “რეინჯერსის” მატჩი, ცხადია, საკუთველოდც დიდ ინტერესს იწვევს. შოთა არცევაძემ შოტლანდიის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩშიც ორი გოლი გაიტანა (“დახნის” წინააღმდეგ 3:1). შოთას ტრავმა არ აწუხებს და ის დღევანდელ შემადგენლობაში მიიღებს მონაწილეობას.

F ჯგუფი
პორტო – რეალი
მარსელი – პარტიზანი
“რეალი” მუდამ ფაფორიტეა, თუმცა... “პორტო” UEFA-ს თასის მფლობელია, დღევანდელ მატჩს შინ მართავს და მადრიდლებს, ალბათ, არავფრს დაუთმობს. “ვალენსიასთან” განცდილმა მარცხმა (0:2) სამეფო კლუბს მიუფერეთი თავსაკითყარი გაუჩინა: იმ დღეს დევიდ ბექჰემმა ტრავმა მიიღო, ასე რომ, “პორტოსთან” ვერ ითამაშებს. ნაულებად სავარაუდოა რაულის თამაშიც. სამაგიეროდ, გამოჯანმრთლდნენ ელკერა და მინამარცხი.

G ჯგუფი
ლაციო – სპარტა ჩელსი – ბუჩოქიში
G ჯგუფში დღეს ძველი ნაცნობები შეხვდებიან ერთმანეთს – ექს-ლაციოელი კარლ პოპოჩისი “სპარტას” შემადგენლობაში დაუპირისპირდება ყოფილი თანაგუნდელებს. “ლაციო” ფაფორიტეა, თუმცა, მანჩინის გუნდი სულაც არ არის ოპტიმალურ ფორმაში. სერია A-ს უკანასკნელ მატჩში “მემპოლისთან” “ლაციო” მხოლოდ ქულის დასაფრად (2:2), მაშინ როდესაც “სპარტაში” თავის უკანასკნელ მატჩში 4:0 გაიმარჯვა.

ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში “ლაციოსთან” შინ 0:2 ნაკლებ შემდეგ, სტამბოლის “ბუჩოქიში” “ტრამპზონსთან” გაანადგურა (5:0). მიუხედავად ამისა, დღევანდელი მატჩის ფაფორიტე მაინც “ჩელსია”. მწვრთნელი რანერი უდიდესი ზენოლის ქვეშაა. უამრავი ახალმშობელი ვარსკვლავის “პატრონს” იტალიელ სპეციალ-

ლიან” ნაავი (2:4). “პარტიზანმა” კი “პორტოსთან” ფრედ ითამაშა (1:1). თუ რომელიმე მათგანს მომდევნო ეტაპზე გასვლა უნდა, დღევანდელი მატჩი აუცილებლად უნდა მოიგოს. ეს განსაკუთრებით ეხება “მარსელს” - დღევანდელ შეხვედრაში წარუმატებლობა მისთვის, ალბათ, ჯგუფში ჩარჩენის ტოლავის იქნება.

H ჯგუფი
სელცა – მილანი
აიაქსი – პრიუვე
გასულ შაბათს “სელცამ” მიმდინარე სეზონის პირველ გამარჯვება იხილა (3:2 “ვალადლიდის” წინააღმდეგ). ტრავმირებული სპორტულმა კი ჯერაც არ მოგვარებულა. კვლავინდებურად დამაველები არიან ბრაზილიელები კატალია და ელუ. მტკიანი ფეხით თამაშობს მცველი კონტრატის “მილანის” შემადგენლობაში ისევე როგორც ვიგორი ბრაზილიელი რივალდი ახლავითან. ამბობენ, რომ ადრიანო გალიანისთან შეხვედრის შემდეგ “რივალდი” “მილანთან” ნასულა გადაიფიქრა.

“აიაქსის” წინააღმდეგ მატჩში მიღებული დისკვალიფიკაციების გამო “პრიუვეს” ერთაშაშდ სამი თავდასმხმელი დააკლვება. ვერ ითამაშებენ ვერმევინი, მარტენსი და მენსონი. “აიაქსი” კი არც განწყობას ნამდვილად არ უჩივს. პოლანდის ლიგის უკანასკნელ მატჩში ასპტრადამებულებმა 6:0 გაანადგურეს “ტილბურგი” და ცხროლის სათავეში მოექცნენ.

ბინა ბაბანიძე

ძველ დღეებზე გადავხედავ. ყველა თითქმის ერთნაირად იხევა. ბოლო წლებში ვეძებ სპონსორებს, ბოლომდე არასოდეს არის გარკვეული გამგზავრება. მერე, ბოლოს მივდივარ ხან კმაყოფილი და დალოდილი, მატარებელში ან თვითმფრინავში გამოძინების იმედით, ხანაც ნისიად, ვალით და უკან დაბრუნებისას ან ექსპედიციისთვის სამუშაოს ნახვის და ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლის რწმენით, ოღონდ უკვე დაძაბული და განვიწყობილი.

ამჯერად დარწმუნებული ვიყავი, ევრესტზე მეორედ ასვლის შემდეგ ტიან-შანიზე ნასახველი ფულის შოვნა არ გამიჭირდება. ძალიან შევცდი. არ ვიცი, რა ხდება, მიჭირს ახსნა, მე კი ერთ თეთრსაც ვერ ვშოულობ. არ არის სამუშაო. თუმცა, სამუშაოც რომ იყოს, ან მთაზე წამსვლელი კლიენტები, პირველ ხანში გამოფიტულობის გამო ვერ შევძლებდი, მერე - დროც აღარ მყოფნის. მაგრამ გადანივებითილება მიღებულია, მივდივარ და მიმყავს მარინეც (მეუღლე - რედ.). ვესხულობ ბიშკეკამდე გზის ფულს, მერე რუსები და ყირგიზები მომემარებან.

თბილისიდან 30 ივლისს გავდივართ. ბაქოში სარიდან მურსაგულუვი მასპინძლობს. გამოფინისას ბიშკეკში, აეროპორტში მოსკოველები დიმა მასკალიოვი და ვალოდია მოყავი მხედებიან ცოლებით. ისიც-ყულამდე ვერ ვახერხებთ გამოფინივლენას. ისიც-ყული კი მკვდარსაც გამოაცოცხლებს. 150 კმ. სიგრძისა და 50 კმ. სიგანის ტბას ტყვიულად არ ეძახიან ყირგიზეთის ზღვას. წყალი არის ცივი, ლურჯი-ლურჯი, გამჭვირვალე და ოდნავ მარილიანი. სასტუმროები, კემპინგები და დამსვენებლები კი ბევრზე ბევრი.

ღამე ჩემს ახლობლებთან კარაკოლში, ყოფილ პრეფექტურაში ვრჩებით. აქ ბევრი არაფერი შევცვლია ჩემი პირველად ყოფნის, 1986 წლის შემდეგ. ცენტრში ისევ დგას პრეფექტურის ქანდაკება, რომელიც ძალიან საეჭვოდ ჰგავს სტალინს. ისევ ის ქუჩები ერთსართულიანი სახლებით, ხეხილის ბაღები, ისევ ის ხის დიდი ტაძარი, ოღონდ ადრე სპორტული დარბაზი იყო, ახლა კი გალამაზებული, შეღებილი, ეზო მოვლილი, მართმადიდებლური ეკლესია. ახალგაზრდა მოძღვარი აქაურია. უხარია მარინეს ჩემი ნახვა. დიდხანს გვესაუბრება ტაძრის ისტორიაზე, აქ დასვენებულ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატზე და მერე გზას გვილოცავს.

ადრე დილით, 2 აგვისტოს, სატვირთო მანქანაზე ვიტვირთებით. ჩვენი სამ ოჯახს, კიდევ რამდენიმე მთამსვლელი გვემატება. იმედი გვაქვს, დღესვე მოვხვებით საბაზო ბანაკში, მყინვარზე, 4100 მ-ზე.

გზა აკ-ჯაილომდე ძალიან ნაცნობი და გრძელია: ტიან-შანური ტყეები, უღელტეხილი, სპილენძის მიტოვებული საბადოები თავისი მკვდარი ქალაქით. ჩობნები, იურტები, თერმული წყლების აუზები, მაიდადირში მესაზღვრეების ბოლო პოსტი და მყინვარის ძირში, პატარა ოაზისში ჩადგმული ფერმა აკ-ჯაილი. რამდენიმე წლის წინ აქ ველური ბუნება იყო, მონადირე და მწყემსიც არასოდეს გვინახავს, ახლა კი თანამედროვე ტურისტული ბაზა საუნიტო, აუზით, მზის ელემენტებით, ქარის გენერატორით, ფერმით - ცხვარძრობით, ცხენ-იაკით, ქათამ-კვერცხით და ედელვაისებით. რაც მთავარია, ვერტმფრენის მოედნი.

მფრინავები ჩემი ძველი ნაცნობები არიან, მაგრამ ჩიხები უკვე მეორე დღეა, ელოდებიან ფრენას, მესამე რისზე მივყავართ. 45 წთ-ში მყინვარ ენილჩეკზე ვართ, საბაზოში.

2003, აგვისტო

ტიან-შანი



მწვერვალი ხან-ტენგრი (7010 მ)

30-40 წლის წინ პრეფექსიდან აქამდე ქარავანს თვენახევარი სჭირდებოდა ამოსასვლელად.

ახლა უკვე ნამდვილად სახლში ვარ. უამრავი მეგობარი მხედება ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. უცხოელებიც. მყინვარზე ნ დიდი, ძირითადი ბანაკია და რამდენიმე პატარა. ყველაგან ახლობლები არიან. ამჯერად "ტიან-შან თრეველს" ვარჩევ

მისაროვის ბანაკის მახლობლად, სიმბოლური სასაფლაოა, უფრო სწორად, კლდე მემორიალური დაფებით. რამდენიმე წლის წინ ჩვენი დაფამაგრეთ დაფა 1961 წელს დაღუპული ქართველების გვარებით - მემარიამილი, კუხიანიძე და დან. უცხოელებიც. მყინვარზე ნ დიდი, ძირითადი ბანაკია და რამდენიმე პატარა. ყველაგან ახლობლები არიან. ამჯერად "ტიან-შან თრეველს" ვარჩევ

ენთო, ისიც თითქმის თავისუფალი ვარდნით. ვანია ფერდის ბოლოში გაუჩინარდა, გადაიჩეხა. დიმა ახლაც ვერ ხედება, თვითონ როგორ არ გადაჰყავა, როგორ არ გადახტა. შემდეგ დიდხანს ეშვებოდა 5800 მ-მარიამილი, კუხიანიძე და დან. უცხოელებიც. მყინვარზე ნ დიდი, ძირითადი ბანაკია და რამდენიმე პატარა. ყველაგან ახლობლები არიან. ამჯერად "ტიან-შან თრეველს" ვარჩევ

დიმასთვის ხან-ტენგრი მთაზე ცოტა მეტია - ტატიანისთვის შვილის საფლავი მოსკოვშია, დიმასთვის კი

პირველი ღამისთევა 4300 მ-ზე გვაქვს. გზა თითქმის ჰორიზონტალურ მყინვარზეა. ღრმა თოვლია, კვალიც ღრმაა, ნაპრალები ცოტაა. მყინვარული მდინარეები ჯერ არ აღიდებულა და თოვლის ხიდებიც გამძლეა. გზად დიმა გრეკოვი გვხვდება, გიდი მეზობელი ბანაკიდან, გერმანელ კლიენტთან ერთად. ზემოთ, ყინულ-ვარდნილის ყველაზე ვიწრო ადგილას, "ძაბრში", ზვაგში მოყოლილან. პატარა იყო, ად-

უძირო ნაპრალებზე გვიწევს გადახტომა, ან თოვლის თხელ ხიდებზე ფორთხვით გადასვლა. კარგი იქნებოდა, ახლა რომ თოვის პატარა ნაგლეჯი მაინც გვექონდეს თან, დაცვისთვის. 1994 წელს, 70-იანი ნაპრალიდან ყარაგანდელი მთამსვლელი ვერც კი ამოიღეს. ნაპრალი ფართო იყო, კიბის გადაბა გვექონდა გადაწყვეტილი. დროებით თოკი დავამაგრეთ. ყარაგანდელი არ ჩაება, მხოლოდ ხელი ჩაავლო. მონყვეტის მერე რამდენიმე წუთი



45 წთ-ში მყინვარ ენილჩეკზე ვართ, საბაზოში. 30-40 წლის წინ პრეფექსიდან აქამდე ქარავანს თვენახევარი სჭირდებოდა ამოსასვლელად.



გზა მყინვარზე



ვერტმფრენის მოლოდინში.

საცხოვრებლად. მარინე გოგინებულა მყინვარით, მთებით, მასშტაბებით, ამდენ ხალხთან შესვენდრით და, რაც მთავარია, სიმალლით. დიდხანს გაუგრძელდება აკლიმატიზაცია, ცხოვრების პირობებთან შეგუება, მეზობლების გაცნობა.

რამდენიმე დღე გრძელდება მეგობრების მოკითხვა, მისვლა-მოსვლა, გეგმების დაზუსტება. მყინვარის მეორე ნაპირზეც გადავდივართ. აქ, კო-

ამისთვის არიან აქ. ყველაფერი დიმას თვალწინ მოხდა, მწვერვალ ხან-ტენგრიდან რამდენიმე მეტრში, ვიწრო ქედის ბოლოში, მამა ცხელი ჩაიას შუაში დამაგრებული თოკი დამთავრდა, ვანია თოკიდან ჩაეხსნა, მამას ხელი დაუქნია და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ზემოთ. უცებ შებარბაცდა. ალბათ, წრიაპი წრიაპს გამოხლო, დაეცა და გაფრინდა. მამამისი კვილით გამო-

აქ არის. ხელის მარცხენა მტერი დიმას თვალწინ მოხდა, მწვერვალ ხან-ტენგრიდან რამდენიმე მეტრში, ვიწრო ქედის ბოლოში, მამა ცხელი ჩაიას შუაში დამაგრებული თოკი დამთავრდა, ვანია თოკიდან ჩაეხსნა, მამას ხელი დაუქნია და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ზემოთ. უცებ შებარბაცდა. ალბათ, წრიაპი წრიაპს გამოხლო, დაეცა და გაფრინდა. მამამისი კვილით გამო-



ხედი კარვოდან.

ვილად ამოძვრენ. თოკი ვეღარ ამოთხარეს და იქვე მიატოვებს. გერმანელ კლიენტს, ალბათ, უკვე დაეკარგა ხან-ტენგრიზე ასვლის სურვილი. 1993-ში აქ აღმა-ათელი გიდი ვალერა ხრეშტნი მოჰყავა დიდ ზვაგში ოთხ ინგლისელ კლიენტთან ერთად. ერთი ინგლისელი გადაიჩეხა, დანარჩენები ერთ კვირა ვეძებთ. ზურგჩანთა ვნახეთ მხოლოდ, ერთი.

7 აგვისტოს, ღამის 3 საათზე გავდივართ 4100-დან. გათენებად გვიწევს, "ძაბრს" გავასწროთ. სიბნელეში კვალს ვკარგავთ, დიდ ნაპრალებში ვიბნევით, გვათენდება ლაბორინთიდან გამოსასვლელი გზის ძებნაში. ბოლოს კვალზე ვდგებით. მწვერვალ ჩაბაივიდან წელს ჯერ არ ჩამოსულა ზვაგი. დიდი ზვაგი მთლიანად ავსებს და ფარავს ხოლმე ნაპრალებს, ამიტომ ახლა პირლი,

ეკიდა თოკზე და მერე თითები გაშვება. მეორე ნაპირზე მწყვილი იდგა, ვერაფერი უშველა. "ძაბრსაც" მივადექით. მწვერვალ ჩაბაივის ფერდებს უკვე მზე აცხენებს, "ძაბრში" ზვაგის კონუსი დაცხრილულია ზემოდან ჩამოსული ლოდებით. ღმერთო, გვიშველე! კიდევ ერთხელ ვარწმუნებ საკუთარ თავს, რომ ეს ბოლოს წინა გავლაა "ძაბრისა", რამდენიმე დღეში უკან დავეშვები და ყველაფერი მორჩება! აქვარებას აზრი არა აქვს, ძალია მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯზე გვეყოფა. დასაკლავად გამზადებული ცხვარივით, ნელა მიუყვები ბილიკს და მორცხვად ვბუტბუტებ იესოს ლოცვას. ახლა ხომ მაინც გამახსენდა! კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ბერგმურუნდს ვეფარები. აქედან უსაფრთხო მონაკვეთია. 5300-ზე ვდგამთ კარავს. დილით

გვიანობამდე ველოდებით პეტერბურგელების 3-კაციანი, უფრო სწორად, 2-კაციანი და ერთ-ქალიანი ჯგუფის დაშვებას. შუალამისას მისამგებლად გასვლას ვაპირებთ. გამონდა ფანარი. უჭირთ. ქალი ყველაზე უკეთაა. ვხედავ, წრიაპი გასძვრიდა და ზედ ჰკიდა. კარვისკენ ვეძახით და ჩვენს "კუბოში" დასარჩენად ვეპატიფებით. უარის შემდეგ საძილე დან გამოუძრომლად ვუყრავ წრიაპებს. დიმა მეორე წრიაპის შეკვრამდე ნახა შეცდომა. ისიც გავუსწორეთ, ჩაი დავალევივით, ერთხმად ვაგინეთ ყველა ქალს მთაში და მერე სამივენი გავუშვით ქვემოთ.

ისევ ზემოთ, 5800-კენ. ნახევარი გზის გავლას ჩრდილში ვასწრებ, მეორე ნახევარი "ტაფაზე" მიწებს. იწვის ყველაფერი. ახალი თოვლი კიდევ უფრო აძლიერებს გამოსხივებას, მზის სხივების არეკვლას. თერმოსში გათავდა ჩაი. უკვე მოჩანს 5800 მ, უღელტეხილი, პატარა ნერტილებად უღელტეხილის ძირში გამოთხრილი გამოქვაბული. ვილაც მაღლიანს კოკა-კოლას ბოთლით გაყინული წყალი დაუტოვებია ბილიკზე. რამდენიმე ყლუბი უკვე გამდნარა. ვილბობ ყელს, მერე თოვლს ვუმატებ და ისევ ბილიკზე ვტოვებ, უკან მომავლებისათვის.

უნაგირზე თავისუფალ გამოქვაბულს ვარჩევთ და ღამის სათევად ვეშადებით. ხვალ მე და დიმა ზემოთ წავალით, ვალოდია კი უარი თქვა ასვლაზე. ერთ ღამეს ისევ 5300-ზე ვარჩევა და მერე უკან დაევშევა. ჩვენთან ერთად არიან ცნობილი მთამსვლელები ოდინცოვი, პერმინი, რუჩინი, დევი. აკლიმატიზაციისათვის, ჰიშალაის ერთ-ერთ ურთულეს მწვერვალზე, ჟანუზე ასასვლელად ეშადებიან. ეს ოდინცოვის პროექტის, "რუსული კედლების" მერვე მარშრუტია. ესენი მსოფლიოს საუკეთესო გუნდად ითვლებიან. მათ ანგავს უანტასტიკური ასვლებია! იმედი მაქვს, როდისმე მეც მოვხვები ამ გუნდში.

მეზობლების რაციაში მერაბ ხაბაზის ხმა მესმის გამარჯვების პიკიდან. მათხოვეს. ერთხანს ეთერს ქართველები ვიკავებთ. იგი ხვალ გადის 5800-ზე. ერთმანეთს წარმატებას ვუსურვებთ და ვემშვიდობებით.

9 აგვისტო. დილას არ ვჩქარობთ. ცივი. გვეზარება გამოქვაბულიდან გამოძრომა. გვიგრძელდება თოვლის დნობა, საუზნობა. ქედზე ძლიერი ქარია, ვერ ვგრძნობ ფეხის თითებს. ხელებზეც დიდი მონდობებით ვინარჩუნებ სითბოს, მაგრამ ვიცი, მზე ერთ საათში დამენევა, მერე კიდევ საათნახევარში ბოლომდე აღდგება სისხლის მოძრაობა. მარშრუტზე ბევრი დაძმძილი თოკი ჰკიდა. მათი დატვირთვა მხოლოდ სიმბოლურად თუ შეიძლება, ან მხოლოდ გზის მარჩვენებლად თუ გამოდგება. მარშრუტი კომპინირებულია, ერთმანეთს ენაცვლება ყინული, თოვლი, ჩაყინული კლდეები. ამიტომაც მეტად საინტერესო და სახალისოა. გზაში ყაზანელელები მხედებიან, ერთ კაცს მიათრევენ ქვემოთ. ფეხზე დგას მათარი, მაგრამ ძნელად! რაც მათე დაკარგავს სიმაღლეს, მით უკეთესი მისთვის! 6400 მ-ზე პატარა ღამის სათევია, ზოგჯერ სამი კარავიც დაგვიტევია. ჩვენი კარავი კუბოსავით პატარა და მოუხერხებელია. დიმას ძალიან ეჭვირვასება და ამაყობს. სამაგიეროდ, მსუბუქია და ფერიც მომწონს. მეუქი, ვამწვიდებ მასკალიოვს. მზარეული ისევ დიმაა, მე მხოლოდ თოვლის დნობაში ვეხმარები, თუმცა "სამზარეულოც" არაფერია, ყველაფერი ნახევარფაბრიკატია, მხოლოდ მდულარეს დასხმა უნდა - ფაფები, სუშები, პიურე. რაც იჭმევა, მხოლოდ ძეხვი, ყველი, პური და მარინეს გაკეთებული სუნელია.

გვიანობამდე ველოდებით პეტერბურგელების 3-კაციანი, უფრო სწორად, 2-კაციანი და ერთ-ქალიანი ჯგუფის დაშვებას. შუალამისას მისამგებლად გასვლას ვაპირებთ. გამონდა ფანარი. უჭირთ. ქალი ყველაზე უკეთაა. ვხედავ, წრიაპი გასძვრიდა და ზედ ჰკიდა. კარვისკენ ვეძახით და ჩვენს "კუბოში" დასარჩენად ვეპატიფებით. უარის შემდეგ საძილე დან გამოუძრომლად ვუყრავ წრიაპებს. დიმა მეორე წრიაპის შეკვრამდე ნახა შეცდომა. ისიც გავუსწორეთ, ჩაი დავალევივით, ერთხმად ვაგინეთ ყველა ქალს მთაში და მერე სამივენი გავუშვით ქვემოთ.

დასასრული შემდეგ ნომერში



გამარჯვების პიკი, ვაჟა-ფშაველა, ნერუ.

სოფი მარსო სიყვარულზე ესაუბრით



ნათია ვადაკორია

სოფი მარსო ფრანგებისთვის, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის ისტორიასთან ასოცირდება. ოცი წლის წინ კინოფილმ La Boum-ში დებიუტის შემდეგ, მსახიობის მუდმივი სიახლე და არტისტიზმის განსაკუთრებული უნარი, შეიძლება ითქვას, ეკრანის ანათებს. დღეს, 1 ოქტომბრიდან, საფრანგეთის კინოეკრანებზე რეჟისორ დიან კურისის ფილმი Je reste ("მე ვრჩები") გამოდის, რომელშიც სოფი მარსო მთავარ როლს ასრულებს. ფილმის მიხედვით, მის პერსონაჟს მეუღლისა და საყვარლის სასიყვარულო მორევში ერთდროულად უნევეს ჩაყვინთვა.

საოცარია, მაგრამ თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავში შეიძლება სოფი მარსოს ხასიათის რომელიმე შტრიხი აღმოაჩინოს. მაგალითად, თავისუფლებისადმი ლტოლვა, ოდნავი დაბნეულობა ან სხვა რამ. 13 წლის სოფი მარსოს მონაწილეობით ეკრანებზე პირველი ფილმი (La Boum) გამოსვლის შემდეგ უანტილოში მისი სახლის ირგვლივ ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და გეგონებოდათ ყმანელება ამ ადგილას კარავი დასცესო, მიუხედავად იმისა, რომ სოფი მოუპოვებდა მარსოდ შეიცვალა. მაშინ მსგავსი ფაქტი არც იყო გასაკვირი - ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ახალგაზრდა ვარსკვლავები საკმაო იშვიათობას წარმოადგენდნენ.

ამჟამად სოფი ორი ქალბატონის - სვენარის ფლორანს კვენტის და რეჟისორ დიან კურის მიერ შექმნილ კომედიამი მონაწილეობს. ფილმი სოფი მარსო გამჭვირვალე კარიერისტიკის (ამ როლში ვინსენტ პერეს იხილავთ) ცოლს ანსახიერებს, რომელიც მუდმივად ცდილობს თავისი "პატრონისთვის" სიამოვნების მინიჭებას და ამის გამო მეუღლეს "მსხვერპლად სწირავს". მარსოს გმირს ბოლოს და ბოლოს ბეზრდება კარიერისადმი მეუღლის უსაზღვრო ლტოლვა და სახლში თავის შეყვარებულს (ჩარლზ ბერლინი) მოიყვანს. სწორედ აქედან იწყება ფილმის ყველაზე საინტერესო მომენტები. ექს-მეუღლეს არ სურს ოჯახური კერის მიტოვება და ყველა ღონეს ხმარობს განქორინების პროცესის და შესაბამისად, სახლში დარჩენის გასახანგრძლივებლად. დეტალების წარმოდგენა თქვენი წარმოსახვისთვის მომინდვია, თუმცა წარმოსახვას რასაკვირველია, საკუთარი თვალით ნახვა სჯობს. ფილმის პერსონაჟები მომზობულ და მომზობულ სიუჟეტს შორის ვითარდება, რომელთა მთავარი გმირი ექს-მეუღლესა და საყვარელს შორის პეპელასავით მოფარფაცებს სოფი მარსო.

ფილმის მესვეურთა თქმით, სოფის ეს როლი განსაკუთრებით უხდება, თუმცა არა მხოლოდ ეს როლი. რეალურ ცხოვრებაში სოფი მარსო საოჯახო საქმეებით საკმაოდ სერიოზულად დააკავებულა. "მუდმივად სახლს ვაღებ, ამ შემთხვევაში ცოტა მანიაკი ვარ, თუ ნავითი სავესტის ვებდავ, ყმუილს ვინყებ. სამზარეულოშიც ვფუსფუსებ, მეტწილად ვიკენებზე, მაგინდა ვმლი, ვმინდ, ჭურჭელს ვრეცხავ - თუმცა, ჭურჭლის რეცხვა მეზიზღება" - აცხადებს სოფი. გარდა ყოველივე ამისა, სოფი მარსო აქტიურად ვარჯიშობს, რათა მკვლავები, ხელები და თქვენ წარმოიდგინეთ, თვალებიც გაავარჯიშოს... მოკლედ, იბრძვის, რათა მარადეფს სოფი მარსოდ დარჩეს.

ცოტა რამ მსახიობის პირადი ცხოვრებიდან - სოფის პირველი მეუღლე ანდრე ზულავსკი გახლდათ, მასთან 17 წლის თანაცხოვრების პერიოდში სოფი მხოლოდ სამ ფილმში ითამაშა. მეუღლისთან ერთად პოლონეთში, ვარშავისთან ახლოს ცხოვრობდა და სოფი ზულავსკად იწოდებოდა. გარდა ამისა, პოლონურადაც საუბრობდა და შეილისთვის - ვენსანისთვის, ნამცხვრებსაც აცხობდა. ანუ ზულავსკის სახელისგან გათავისუფლება მარსოს მილონი ფრანკი დაუჯდა.

ამჟამად სოფი ამერიკელი პროდიუსერის - ჯიმ ლემლის ცოლია და საკუთარ თავს პოლნურ და ამერიკულ კულტურათა ზღვარზე მყოფს უწოდებს. ფრანგი მსახიობის ცხოვრებაში კიდევ ერთი სიახლეა, ხუთი თვეა, რაც მონეგას თავი დანებდა და ცოტა გასუქდა კიდევ. "გრძელ და მსუბუქ სივარეტებს ვენეოდი, თამბაქო არ მიყვარს, თუმცა მონეგას არა უმავს; იყავით მრგვალი, მაგრამ არ მონიოთ" - ლოზუნგით ვარჯიშობს მარსო. გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, სოფი მარსოს ბედისწერის და ნიშნებიც სჯერა - "ცხოვრებაში შემიხვევით ხომ არაფერი ხდება, ყურადღება მიაქციეთ ნიშებს".

რაც შეეხება მის სარეჟისორო კარიერას, რომელიც მარშანდლი Parlez-mois d'amour-ით ("სიყვარულზე მესაუბრეთ") დაიწყო, შენს სხვა ფილმით გაგრძელდება, რისთვისაც დროა საჭირო. დროის დევიციტს ციტირებში მყოფი ტიპური ფრანგი ქალი მუდმივად განიცდის. ისე, სოფი მარსოს თუ ესტუმრებით, მას ბევრი საინტერესოს მოყვლა შეუძლია, მანამდე კი "სიყვარულზე ესაუბრეთ" ან "დარწით მასთან".

სწავლა ლონდონში

ბილში სწავლავთ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გონვეთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მეტაბოლის ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის დირექტორების თამაზიური, პროგრამები ბიკალატორის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ინტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელწანდში საბერ (სემესტრი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

MBA	მენეჯმენტი / მენეჯმენტი / IT	საბუღალტრო მენეჯმენტი / HRM
MSc	საინფორმაციო ტექნოლოგიები	კომერციული მენეჯმენტი

£3950

მონეგას ინ ინსტიტუტი ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბიკალატორის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დასრულებული კურსის - BA (Hons) მიღობი ღირებულება £ 5950. 3-წლიანი კურსის ინფორმაციის ბიკალატორის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მიღობი ღირებულება £ 10 950

ჯამოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია იტალოგრანად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც წესრიგშია პროგრამების სწავლებას, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ქონს კურსის გავლა შესაძლებელია დასტურებით £ 1000 გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მაღალი აკადემიური მოწინააღმდეგე არიან, ხელშეწყობისა მოწინააღმდეგე პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციის დასაძინად: სივარ ზულავსკის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღვ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 2-99906, 98 99 06, +994 50 - 201 01 67
E-mail: stimgorgeia@hotmail.com; nm@stimg.az
ან ადგილობრივ წამომავალს: სინე შექმნის
ტელ: 34 61 62, 8-10 35 20 67

NMCP

NETHERLANDS MANAGEMENT COOPERATION PROGRAMME

მოიხვეით თქვენს კომპანიაში კოლანდოლი მენეჯერი

ნიდერლანდის სამეფოს სამთავრობო პროგრამა მენეჯმენტის განვითარების და თანამშრომლობის დარგში (NMCP), კერძო წარმომადგენლებს გაძლევთ საშუალებას, ერთი ან ორი კვირით, უფასოდ მოიწვიოთ თქვენს ფირმაში განხილული პროდუქტები საქმიანობისთვის. მოვლადილი ექსპერტი დაეკავშირებათ თქვენი კომპანიის მენეჯმენტის, მარკეტინგის, PR-ის განვითარებასა და სრულყოფაში, ახალი და ხაჭიანი კონტაქტების დამყარებაში.

დამატებითი ინფორმაციის მოხავედ შევიძლიათ მისამართით საქართველოში NMCP პროგრამის კოორდინატორის (ტელ: 899-931454). აგრეთვე, შევიძლიათ მითხოვოთ ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით (www.nmcp.nl), ვისურვეთ წარმომავალს.

საქსი

საქსი

შეიძინეთ გაერთეთ! მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუთოვი 2-ის კარდავარ ცენტრში გაიმართება ტელე-ბატონი "საქსი ტოტო" გამოცემა.

დასაბუღალტრო ინფორმაციის და კომუნიკაციების მსახიობი ჩინოტი ზაზანი "24 საათში"


მეძავენი და წმინდანები

სტინგის კონცერტი პარიზში

სიყვარულის ქალაქში სტინგმა საზოგადოებას თავის მეშვიდე ალბომი, Sacred Love წარუდგინა. 25-წლიანი კარიერის შემდეგ 52 წლის მუსიკოსი აცხადებს, რომ სიყვარული მარადიულია. ვისაც გამბედაობა ეყოფა, შეუძლია, შეეძლოს. მაგრამ ასეთი, პარიზში გამართულ კონცერტზე, არავინ გამოჩენილა.

ფრანკისტიები, რომლებსაც ამ შოუზე მოხვედრის ბედნიერება ხვდათ ნილად, აღნიშნავენ, რომ იშვიათი მომენტის შემსწრენი გახდნენ. თავად სტინგი თავს შესანიშნავად გრძობს. მხოლოდ ამერიკის რადიოზე დატრიალებულ ძველისძველ სიმღერას Every Breath You Take, მისთვის ყოველდღიურად 2 ათასი ევრო მოაქვს. მან ორწლიანი შესვენება გააკეთა - ავტობიოგრაფიას წერდა - და მის სახელს მაინც ყველა ჰიტ-პარადში გადააწყვედობდი: მასზე სამი ათწლეული უმცროსმა კრეივ დევიდმა სტინგის სიმღერა Shape Of My Heart ახალ Rise And Fall-ად აქცია, ხოლო ჯონი ქეშმა თავის უკანასკნელ ალბომში კვლავ ააფერხა მისი ბალადა I Hung My Head. გამოდის, რომ ასე თუ ისე, სტინგი სულ ჩვენთანაა, მაშინაც კი, როცა პირადად მისგან არაფერი ისმის.

ორშაბათს კი მისი ახალი ალბომიც მოგვევლინა და სწორედ მის გამო ენვია ის პარიზს. ამ ქალაქში ჩაიწერა სტინგმა 80-იან წლებში თავის პირველი სოლო-ნამუშევარი, The Dream Of The Blue Turtles, რომლის წყალობითაც...



თავი მან "პოლისის" "კლანჭებს" დააღწია თავი. თითქმის ოცი წლის შემდეგ სტინგი კვლავ პრემიერას აწყობს და კვლავ პარიზულ სცენაზე დგას. ამ ექსკლუზიურ საღამოზე მოსახვედრად მომღერლის თავყვანისმცემლები 200 ევროსაც არ იმურებდნენ, "ოლიმპიას" თეატრალურ დარბაზში, ნიითეა სავარძლებში კი 20-დან 60 წლამდე ასაკის მუსიკის მოყვარულნი იხსდნენ. ზოლიან ტანსაცმელში გამოწყობილმა, ოდნავ თმა-შევერცხილმა მუსიკოსმა "პოლისის" კლასიკური Walking On The Moon-ით გახსნა საღამო. თავის ახალ სიმღერებში სტინგი კვლავ სიყვარულს უმღერის, მის სრულიად განსხვავებულ გამოვლინებებს - ეჭვს, იმედს, ვნებას, იმედგაცრუებას... ის თანაბრად აღიძვებს მეძავეებს და წმინდანებს, ყველა ქალს, რომლის გამოც უსასრულო მარტოობის განცდა ჩნდება და რომლის გამოც საგმირო საქმეების ჩადება შესაძლებელია. სიყვარული მარადიულია. Tomorrow's another day. OK.

სოველ პარასკევეს, დამის კარხიარის პირდაპირი ათბრნი

თქვენს მხარეშია სტინგის დასწრება და გადაწყვიტის მსჯელობის დროს უმჯობესი მოხავედია.

დარბაზით 24 საათის განმავლობაში, ნომერტი 332609

გაიკარათ მარტივით რეპრესირებისა და მოხვედით დამის კარხიარის სტინგისთვის.

წაგალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ ვაწვებთ პრისტიტიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, მარდვის დროს წვა, მარდსადენი ხერხლის ბაგეთა მინებება, სუნის ან გამოძივები; აგრეთვე ტკივილი ნელის, გავის ძვლის, თორკმელების არეში; მარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მომარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წაგალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწვებებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშმის (ქოლესისტიტი), პეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წაგალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გათუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წაგალი "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწინააღმდეგე საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების წამწრეთლოობის დავის სამინისტროების მიერ, იგ რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ ავთიკებში.

წაგლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.